**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 თვით | . . 10 მ. — კ. | |
| 11 ,, | . . 9 ,, 50 ,, | |
| 10 ,, | . . 8 ,, 75 ,, | |
| 9 ,, | . . 8 ,, — ,, | |
| 8 ,, | . . 7 ,, 25 ,, | |
| 7 ,, | . . 6 ,, 50 ,, | |
| 6 ,, | . . 6 ,, — ,, | |
| 5 ,, | . . 5 ,, 50 ,, | |
| 4 ,, | . . 4 ,, 75 ,, | |
| 3 ,, | . . 3 ,, 50 ,, | |
| 2 ,, | . . 2 ,, 75 ,, | |
| 1 ,, | . . 1 ,, 50 ,, | |

# ივერია

№ 272 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 272

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ანუ რომელთაც აქვთ თავიანთი უმთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და იმიერ-კასპიის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ე. მეტცლის და ამხ.-ის განცხადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაურია სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.


## რედაქციისაგან

„ივერიის" რედაქციამ ბინა გამოიცვალა და გადავიდა უფრო მოხერხებულ ადგილას, სახელდობრ ბარონის ქუჩაზედ, სახლი კ. ალექსი-მესხიშვილისა, კალოუბნის ეკკლესიის გვერდზედ, ფოსტის მახლობლად.


## შოთა რუსთაველის დიდი სურათი

დაიბეჭდა სუფთად და შნოიანად, ფოტოტიპიით ორმაგიან ბრისტოლის მთელს თაბახზედ. დართული აქვს აკაკის ლექსი:

«სულ მნათო! მადლი შენს გამჩენს»!

**ფასი ათი შაური**

ვინც ათ სურათს ერთათ იყიდის ნაღდზედ, თითო ორ აბაზად დაეთმობა და ვინც ოცზედ მეტს—თითო 35 კაპ. მისამართი ფოსტით: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა", სოსიკო მერკვილაძეს. (10—1)

იბეჭდება და საჩუქრად დაურიგდება მკითხველთ „ივერიისა" „აღდგომა" (Воскресенье), რომანი გრ. ლ. ნ. ტოლსტოისა, იმ ხელის-მომწერთ, რომელნიც თავს 1 თებერვლამდე შემოიტანენ თითო თუმანს.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა. № 5

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**ალექსი-მესხიშვილი**, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესობრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე**,—დოროსმელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

## ვეტცელის თეატრი
(მიხეილის ქუჩაზე)

კვირას, 28 ნოემბერს, ქართველთ დრამატიულის დასის-მიერ წარმოდგენილი იქმნება

**სამშობლო**

დრამა 4 მოქმ. და 6 სურ., დ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი 20 კაპეიკიდან 2 მანეთამდე.

დასაწყისი 8 საათზედ.

ადმინისტრაცია ამხანაგობისა.

მორიგი რეჟისორი კ. მესხი.

## პირველი კერძო სამკურნალო
**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კკრაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**საღამოობით:**

**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 5 7 საათ.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

## ლ. დ. დონსკოისა

შაბათს, 27 ნოემბერს,

მე-6 «გალა» წარმოდგენა.

წარმოდგენილი იქნება

**ბორის გოდუნოვი**

ოპერა 4 მოქმედ., მუსიკა მუსორგსკისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი დონსკოი-ეიხენვალდისა, მიხაილოვისა, შიხუცკაია-მინჩენკო, ხარიტონოვისა და სხვ.; ბ-ნნი სიკაჩინსკი, პოლუიანოვი, გალეცკი, პორუბინოვსკი, სპერანსკი, ბაგროვი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი.

კაპელმეისტერი: ან. ეიხენვალდი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

კვირას, 28 ნოემბერს,

ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება

I

**ფენელლა**

ოპერა 4 მოქმედ., მუსიკა ობერისა.

II

**ალეკო**

ოპერა 1 მოქმ., მუს. რახმანინოვისა.

ორშაბათს, 29 ნოემბერს,

ტფილისის რეალურ სასწავლ. ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ წარმოდგენილი იქმნება

**აიდა**

ოპერა 5 მოქმ., მუსიკა ვერდისა.

ხუთშაბათს, 2 დეკემბერს, იქნება ბენეფისი ნ. ი. სპერანსკისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად **«მანდარინის შვილი»**, ც. კიუისა და **«მანონი»**, მუსიკა მასსენესი.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.


## ომის ამბები
**დეპეშები და წერილები.**

ლიაოიანთან მომხდარი ამბავი. გენერალ კუროკის შტაბის ერთმა აფიცერმა გაზეთ «სტანდარდტ»-ის კორესპონდენტს უამბო ერთი პატარა, მაგრამ საყურადღებო ამბავი, რომელიც ლიაოიანის ბრძოლის დროს მომხდარა. საქმე ასე ყოფილა: ერთის მთის მოტიტვლებულ მწვერვალზედ 14 დაჭრილი ჯარის კაცი ეგდო. ისინი მთელი დღე იბრძოდნენ, მერე კი, როცა ბრძოლა შესწყდა, დაჭრილნი ნაპირზე გარიყულ ნაფოტებივით მთაზე დასტოვეს. მათ შორის რვა კაცი დიდ წვერა რუსები იყვნენ, ექვსი კი პირტიტველა იაპონელები. საღამოზედ დაჭრილებმა მიიხედ-მოიხედეს და ცოცვა დაიწყეს. რუსები პირველად ერთმა ფეხში დაჭრილმა იაპონელმა ჯარის კაცმა სატომ დაინახა და ინსტიქტიურად გარშემო ხელების ფათური და თოფის ძებნა დაიწყო. მაგრამ ერთმა მის გვერდით მწოლარემ, ფეხში ყუმბარით დაჭრილმა ამხანაგმა ტანაკამ უთხრა: «რას შვრები, განა ვერ ხედავ, რომ ისინიც დაჭრილები არიან?» რუსებმაც შეამჩნიეს იაპონელები და ცნობის-მოყვარეობითა და ფრთხილად ათვალიერებდნენ. იაპონელები ცოტანი იყვნენ. საღამოს ერთი მათგანი მოკვდა და ამ რიგად რვა რუსის წინააღმდეგ მხოლოდ ხუთი იაპონელი დარჩა. ამას გარდა აღმოჩნდა, რომ რუსები იაპონელებზე გაცილებით უფრო მსუბუქად იყვნენ დაჭრილნი. იაპონელებს რუსებზედ ეჭვი შეეპარათ, რადგან გაგონილი ჰქონდათ, რომ რუსები დაჭრილ და დატყვევებულ იაპონელებს აწამებენო. «მოდი, დავუძახოთ,—სთქვა ერთმა იაპონელმა,—მაშინ რუსები დარწმუნდებიან, რომ ჩვენ იმათ არ ვერჩით». იაპონელებმა რუსებს ანიშნეს, რუსებიც დაუყოვნებლივ იაპონელებთან მივიდნენ, ჯერ «ჩესტი»-ი გაუკეთეს და მერე იაპონელებს გვერდით მოუსხდნენ. არც ერთმა რუსმა არ იცოდა იაპონური და არც ერთმა იაპონელმა არ იცოდა რუსული, მაგრამ მაინც ლაპარაკი დაიწყეს. რაც უფრო ხანი გადიოდა, უფრო და უფრო მეტს ლაპარაკობდნენ: თითებს იქნევდნენ, რაღაცებს ანიშნებდნენ და სახის მოძრაობით ერთმანეთს თავიანთ აზრებს ატყობინებდნენ. იაპონელს კიმურას ჯიბეში ერთი რვეული აღმოაჩნდა, რომელშიაც რამდენიმე რუსული სიტყვა იყო ჩაწერილი. იაპონელებმა და რუსებმა წიგნაკს გულმოდგინეთ დაუწყეს ფურცვლა, თითებს ხან ერთსა და ხან მეორე სიტყვას ატაკებდნენ და ამრიგად მოპირდაპირეებმა ლაპარაკი გაახადეს. მალე იაპონელები და რუსები დამეგობრდნენ, ერთმანეთს ბრინჯითა და პურით გაუმასპინძლდნენ, ერთმანეთს იარები შეუხვიეს და ერთმანეთს თავიანთ ბიოგრაფიებს უამბობდნენ: ვის რამდენი შვილი ჰყავს, ცოლიანია თუ უცოლო, სადაურია და სხვა. დაღამდა. მძიმედ დაჭრილმა იაპონელებმა კვნესა დაიწყეს. ერთმა მსუბუქად დაჭრილმა რუსმა ხევში ჩასვლა და იქიდგან იაპონელებისათვის წყლის ამოტანა გადასწყვიტა. ეს ძალიან ძნელი საქმე იყო, რადგან იმ გორაკის აღება, სადაც დაჭრილები იყვნენ, რუსებსაც უნდოდათ და იაპონელებსაც, ამიტომ ვინც გორაზე ან ფერდობზე გამოჩნდებოდა, რუსები და იაპონელები მაშინვე ტყვიას დააყრიდნენ ხოლმე. დაჭრილი რუსი იქითკენ წავიდა, საითაც რუსები იდგნენ. რუსებმა სიბნელეში ვერ იცნეს თავიანთ ჯარის კაცი, თოფები დაახალეს და დაჭრილი რუსი იქვე გააცივეს. დაჭრილნი მის დაბრუნებას ტყუილად ელოდნენ: რუსი აღარ ბრუნდებოდა, ზევით დარჩენილი დაჭრილნი კი წინანდებურად კვნესოდნენ და წვალობდნენ. წყლისთვის მეორე რუსი წავიდა, მაგრამ იმასაც თავის ამხანაგის ბედი ეწვია: რუსებმა თოფები დაახალეს და ისიც იქვე მიაწვინეს. ღამე დაჭრილებმა დიდის ტანჯვითა და წვალებით გაატარეს, წყურვილი ვერ მოიკლეს. გათენებისას გორის მეორე მხრიდგან რამდენიმე იაპონელი მზვერავი გამოჩნდა; ჩუმად მიიპარებოდნენ. პირველად რუსები დაინახეს, თოფები ესროლეს, მაგრამ დაჭრილმა იაპონელებმა ყვირილი ასტეხეს და თავიანთ მეგობრები სიკვდილს გადაარჩინეს.

რუსებისგანვე დახოცილი ორი რუსი იაპონელებმა ერთად დაასაფლავეს, და ზედ ჯვარი დაადგეს და ჯვარზედ დააწერეს: «სამარემდის მეგობრები!» (ნოვ.).

—

როგორ ექცევიან ციმბირისა და ევროპის ჯარები იაპონელებს. «რუს. ვედ.»-ის კორესპონდენტი ნანდი შორეულ აღმოსავლეთიდან ციმბირისა და ევროპის რუსეთის ჯარებს ახასიათებს და ამბობს: «ევროპის რუსეთიდან მოსულ ჯარის კაცს უფრო ღვთის იმედი აქვს, ვიდრე თავის თავისა. ციმბირელი ჯარის კაცი კი სულ სხვანაირად იქცევა. მისთვის იაპონელი მტერია, რომელიც საშინლად სძულს. ლიაოიანის ბრძოლის დროს ერთ საავადმყოფოში დაჭრილი ციმბირელი ჯარის კაცები და რამდენიმე დაჭრილი იაპონელი იყო. ციმბირელებმა რომ იაპონელებს დაინახეს, ერთი აყალ-მაყალი, ყვირილი და აურ-ზაური ასტეხეს და თხოულობდნენ, იაპონელები აქედგან გაიყვანეთო. ერთმა სანიტარმა ამნაირი «აჯანყება» ამიწერა: ჩვენ საავადმყოფოში ორი დაჭრილი იაპონელი მოიყვანეს და დააწვინეს. სათნოების დები ეცნენ იაპონელებს და მოვლა დაუწყეს. პაპიროსითა, შოკოლადითა და ღვინით უმასპინძლდებოდნენ და კინაღამაც წაიჩხუბნენ: ერთი სათნოების და ყვიროდა, იაპონელებს მე უნდა მოუაროო, მეორე ყვიროდა, არა, მე უნდა მოუაროვო, და სხვ. ჩვენმა დაჭრილმა ჯარის კაცებმა კი გინება დაიწყეს, შურდათ, დებს ლანძღავდნენ და თხოულობდნენ, რომ იაპონელები გარედ გაეყვანათ. რუსეთიდგან მოსულ ჯარის კაცს იაპონელი არა სძულს და საზოგადოდ ეხლანდელის ომის იდეია და აზრი მას სრულიად არ ესმის. (რუს. ვედ.).

—

რუსებისა და იაპონელთა სარდლების დახასიათება. გაზეთ «სანფრან. ქრონ.»-ის სამხედრო კორესპონდენტი, რომელიც გენერალ კუროკის ჯარში იყო, ევროპაში დაბრუნდა და ზემოხსენებულ გაზეთში ომის შესახებ თავის მოგონებებსა და შენიშვნებს ბეჭდავს. კორესპონდენტი რუსებისა და იაპონელების სარდლებს adარებს და ამბობს: იაპონელების გენერლები მოწინავე პოზიციებზე არ გადიან. ისინი ჯარის უკან გამაგრებულ ადგილას იმყოფებიან და იქიდან ტელეფონითა და დეპეშით სხვა და სხვა რაზმებს ბრძანებასა და განკარგულებას უგზავნიან. ამ მიმალულს ადგილას იაპონელების გენერლები თავიანთ ბრძანებისა და სამხედრო მოქმედების შედეგს უცდიან. მთავარ ბანაკიდგან იაპონიაში გაგზავნილ დეპეშებში დასახელებულნი არ არიან ის აფიცრები, რომელთაც თავი იჩინეს. ამას იმიტომ შვრებიან, რომ ამით მტერს როგორმე არ შეატყობინონ, რომ ესა და ეს რაზმი ბრძოლის ველზე იმყოფება. გენერალი კუროპატკინი და სახაროვი კი, პირიქით, ყოველთვის ასახელებენ იმ აფიცრებს, რომელთაც ამა თუ იმ ბრძოლაში თავი იჩინეს. კორესპონდენტი ამბობს, რომ რუსები იაპონელებზე უფრო აღფრთოვანებულნი, გატაცებულნი და ღვთის მორწმუნენი არიან. იაპონელები ისე მოქმედებენ, როგორც ნამდვილი საქმის კაცები: ბრძოლის დაწყებამდე ისინი გულდამშვიდებით ანგარიშობენ, ამ ბრძოლას მოვიგებთ, თუ წავაგებთო, და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ ბრძოლას. კორესპონდენტებისა და სამხედრო მიმომხილველების უმეტესობა კი, პირიქით, ირწმუნება, რომ იაპონელები რუსებზედ უფრო აღფრთოვანებულნი და გატაცებულნი არიანო. ის კი მართალია, რომ რუსი იაპონელზედ უფრო ღვთის მორწმუნეა. (პეტერ. ვედ.).

—

წვრილი ამბები. ტოკიოდგან «რეიტერის სააგენტო»-ს ატყობინებენ: მართალია, პორტ-არტურის ესკადრის უმეტესი ნაწილი დაზიანებულია, მაგრამ რამდენსამე გემს ბრძოლა კიდევ შეუძლიან. რუსები ზღვიდგან ნაღმებს იღებენ. უეჭველია, გაქცევას აპირობენ. (რ. ვ.).

—

ტოკიოდან იუწყებიან: მარშალი ოიამა იტყობინება, რომ 18 ნოემბერს, ღამის 10 საათზედ, რუსეთის ქვეითა ჯარი სოფ. მაგუაძიშანს დაეცა, მაგრამ მალე უკუქცეულ იქმნა. 19 ნოემბერს დილით რუსის ქვეითა და ცხენოსანი ჯარები კუანძინსა და პეიტანძის მოუახლოვდნენ, მაგრამ იაპონელებმა უკანვე დაახევინესო. (რ. ვ.).

## ახალი ამბავი

**უფლებათა გათანასწორება.** გაზ. «ნოვ. ობოზრ.»-ს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ: გაზ. «რუს»-ი იუწყება, რომ საერო განათლების სამინისტროს

გადაუწყვეტია, გაუთანასწორონ უფლებანი გიმნაზიასა და რეალურ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულთ უნივერსიტეტში შესვლის დროს. რეალისტებს მხოლოდ ლათინურს ენაში გამოსცდიან მსუბუქად.

** **პროგიმნაზიების გიმნაზიად გადაკეთება.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა, როგორც გაზ. «ყაზბეგი» იუწყება, ნება დართო, რომ გორისა და დარუბანდის დედათა პროგიმნაზიები სრულს გიმნაზიებად გადაკეთდეს.

** **ფილოქსერა.** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ სოხუმის ოლქში, სოფ. გულრიფში, ფილოქსერა გასჩენია გრიგოლ ბაქრაძის ვენახს, და სოფ. ბესლეთში— ისლამ ნაჭყებიას ვენახს. გარდა ამისა, ამ სოფლებში ყველა ვენახები საეჭვოა ფილოქსერის მხრით და აღკრძალულია იქიდგან ვაზის რქისა და ნერგების გატანა.

** **ხოლერა ტფილისში.** ოფიციალურის ცნობებით, 23 ნოემბერს ტფილისში ხოლერით ავად გახდა ერთი კაცი; 24 ნოემბერს გარდაიცვალა ერთი; 25 ნოემბრისათვის ტფილისში ავად იყო ხოლერით 2 კაცი, რომელნიც ხოლერიანთა ფარდულში არიან მოთავსებულნი.

** **ახალი საფოსტო მარკები.** მომავალ წლის 1-ლ იანვრიდგან შემოღებულ იქმნება ახალი საფოსტო მარკები, როგორც ფულის გასაგზავნად, ისე სხვა და სხვა საფოსტო კორესპონდენციისათვის. ახალი მარკები იქნება 15 კაპ. და 25 კაპ. ღირებულობისა.

** **ხოლერა ტუსაღთა შორის.** როგორც განჯის გუბერნატორი ატყობინებს ტფილისისას, განჯის საგუბერნიო ციხეში ტუსაღთა შორის ხოლერა გაჩენილა. ამიტომ ტუსაღებს ტფილისიდგან განჯის ციხეში არ გაჰგზავნიან.

** **ქართული საღამო პეტერბურგში.** «ცნ. ფურც.»-ს პეტერბურგიდგან ატყობინებენ, რომ ჩვეულებრივი ქართული საღამო ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ გაიმართება 10 დეკემბერს სათავად-აზნაურო საკრებულოს დიდ დარბაზში. საღამოს პროგრამა: კონცერტი, შემდეგ ცეკვა ევროპიული და ლეკური. 15% შემოსავლისა გადაიდება ომში მოკლულთა ოჯახების სასარგებლოდ.

** **რკინის გზათა წარმომადგენლების კრება.** ამ ჟამად პეტერბურგში კრება აქვს რუსეთის ყველა რკინის გზათა წარმომადგენელთ იმის თაობაზედ, რომ ხალხის მოთხოვნილებათა შესაფერად შესცვალონ მატარებელთა საზამთრო მიმოსვლა, ამ წლის 16 ოკდომბრიდგან გამოცვლილი.

** **იმ კომისიის თავმჯდომარედ,** რომელსაც ქალაქის ქუჩების მოკირწყვლა აქვს მინდობილი, არჩეულ იქმნა ექიმი ა. ი. ხატისოვი.

** **ჟურნალი «ნაკადული».** მოგვივიდა ახალ საყმაწვილო ჟურნალ «ნაკადულის» მე-2 ნომერი (ნოემბრისა) მცირე-წლოვანთათვის. როგორც წინა ორი წიგნი, ესეც კარგადაა გამოცემული. აი შინაარსიც: 1) „ყურშა და გოგლიკო», ლექსი ვაჟელისა, 2) „დოკოკინა და აბრეშუმის ჭია“, ზღაპარი მ. დ.-სი. 3) «წნუბის შემდეგ», ი. ალხაზ-სა, 4) «არმაზობა»—არ. ქ—ისა, 5) «ნარევი»—იაპონელი ბავშვები, 6) «სახალისო სამუშაო და გასართობი» და 7) „პატარა მკითხველის წერილები“.

** მოგვივიდა აგრეთვე ჟურნალ «მოგზაურის» ივლისისა და აგვისტოს (მე-7 და მე-8) ნომრებ ერთ წიგნად, „საოჯახო“ და «საჰიგიენო ნარკვევთა» დამატებითა და «კავშირის» „წიგნაქსით“ (კატალოგი).

** **მადლობის გამოცხადება.** ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: «უღრმესს მადლობას ვუცხადებთ თავ. დავით ალექსანდრეს ძეს ბაგრატიონ დავითიშვილს, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა სურამის უფასო სამკითხველოს საყმაწვილო ჟურნალი ,,ნაკადული“ (ნოემბრის ნომერი); იმედი გვაქვს, შემდეგშიაც არ მოგვაკლებენ თავიანთ მოწყალე ხელს და არ დაივიწყებენ ჩვენს უმწეო სამკითხველოს.

აგრეთვე მადლობას ვუძღვნით ბ-ნ ით. ზაქ. იმედაშვილს ,,უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ შემოწირვისათვის. სურამის სამკითხველოს ერთი წევრთაგანი,

## საქართველო

**ახალგორი** (დუშეთის მაზრა). ჩვენი ავ-კარგი. წელს აქეთ მოსავალი ძლიერ ნაკლებათ მოვიდა და რაც მოვიდა, ისიც ახალგორის ვაჭრებმა და მყვლეფავმა ჩარჩებმა გაზიდეს. გაჩაღდა კალოობა თუ არა, გამოგზავნეს ჩარჩებმა თავიანთი კაცები სოფლებში, რომელნიც წყლიან ღვინოზე სცვლიდნენ წმინდა პურსა. ერთი მანეთის საღირალში სამი მანეთისას წაიღებენ პურს, ღვინოსა, ყველს, ერბოსა. თუნგი ღვინო ღირს 50—60 კ., მაგრამ ამ დროს ერთ მანათს იღებენ.

ახალგორში ლოთობა მოვლენათ გადაქცეულა. კვირაობით რა სურათს არ ნახავს კაცის თვალი: ჩხუბს, თავ-პირის მტვრევას და სხვა ბოროტ-მოქმედებას. ეს კი სულ იმის ბრალია, რომ აქეთ ხალხი ძალიან ჩამორჩენილია სწავლა-განათლებითა; სწავლა და ცოდნა რომ ჰქონდეთ, იმას შეგნებაც ექნებოდათ, თავიანთის ოფლით შეძენილი სარჩო-საბადებელი უკეთესათ მოეხმარათ.

ჩვენმა საზოგადოებამ სკოლა დააარსა ახალგორში. სკოლის აგებაზედ თითქმის ყველა მეკომურმა მიიღო მონაწილეობა ფულით თუ მუშაობით, მაგრამ ზოგი სოფელი ისე შორს არის ახალგორზედ, რომ შეუძლებელია ბავშვის მიყვანა სასწავლებელში; მეტადრე შორს არის ალევის ხეობა. ეს სკოლაც მარტო ახალგორელ ვაჭრებისათვის არის სასარგებლო და არა საწყალის ხალხისათვის.

ხსრთ გარიშვილი

—

**ქ. თელავი.** საკვირაო სკოლის უნუგეშობა. იმ დღეს უნებლიეთ მომიხდა თელავის საკვირაო სკოლის თვალის გადავლება და ისეთ სამწუხარო მდგომარეობაში მეჩვენა, რომ არ შემიძლიან ხმა არ ამოვიღო. თურმე ყველას ტუჩი აუკრავს, ყველას ხელი აუღია, მიუვიწყნიათ, მიუგდიათ და აღარც კი უნდათ, რომ გაიხსენონ. მოსწავლენი წინა წლებზე შედარებით ნაკლებნი არიან და მასწავლებელნი ხომ ორიოდე, ისიც ძალათ მაცხონენი. პედაგოგები, ნამდვილი დიპლომიანები თურმე აღარ დაიარებიან, ვიღლებით ექვსი დღის განუწყვეტლივ მუშაობით; კვირაობით კიდევ უნდა დავისვენოთო და სხვა-და-სხვა.

ეჰ, სიტყვას არ გავათავებ, თორემ ჩვენი პედაგოგები გაჯავრდებიან და მომაძახებენ, ექვსი დღე ჯიბისთვის ვმოღვაწეობთ, მეშვიდე დღე რომ კუჭისთვის ვიზრუნოთ, განა ეს გასაოცარიაო?! ჰაი, ჰაი, რომ გასაოცარი არ არის, მაგრამ თითო საათის შეწირვით არაფერი დააკლდებათ და ისე მოიხმარებენ უქმე დროს, როგორცა სურთ.

ეს საკვირაო სკოლა რომ კარგ ნიადაგზე დამყარდეს, ყველამ რომ თითო საათი შესწიროს კვირაში, დიდის სარგებლობის მოტანა შეუძლიან, მერე თელავში, სადაც მდაბიო ხალხი ასე ბლომად მოიპოვება.

შ. კ—ი.

### ქუთაისის კომიტეტი აკაკის ფონდისა.

8 ამ თვეს ქუთაისში შესდგა კრება აკაკის პატივისმცემელთა. კრებამ აარჩია კომიტეტი 6 კაცისაგან ფულის შესაკრებად და მით აკაკის თანხის გასაძლიერებლად. კომიტეტი იმ დღიდგანვე შეუდგა მოქმედებას და ამ თვის 29-მდე შეაგროვა სულ ცხრაასი მანეთი. ეს ფული სრულიად ეგზავნება დღეს «ქართვ. შორის წერა-კითხვ. გამავრცელებელ საზოგადოებას» აკაკის თანხის გასაძლიერებლად. ქუთაისის საზოგადოება ფრიად აამღვრა საყვარელ მგოსნის ავადმყოფობამ და დიდის თანაგრძნობის მიეგება ფულის შეგროვების საქმეს, რომელიც ისევ სწარმოებს.

აქვე მოგვყავს ფულის მომცემთა სია: 1) 200 მან. შემოიტანეს ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საბჭომ; 2) 50 მანეთი გადმოგვცეს სათითაოდ: ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდმა და ბ-ნ სტეფანე ფეიქაროვმა; 3) 25 მანეთი გადმოგვცეს სათითაოდ: დ. ბ. ხელთუფლიშვილმა, გ. ი. გოკიელოვმა, ი. ზ. გველესიანმა, ი. ო. გამყრელიძემ, პ. ი. გოკიელოვმა, გ. ი. კემულარიამ და ა. ს. საყვარელიძემ; 4) 40 მან. გადმოგვცეს სათითაოდ: პ. ა. თუმანიშვილმა და ს. ი. ხიჩინოვმა; 5) 10 მანეთი გადმოგვცეს სათითაოდ: დ. ა. ლორთქიფანიძემ, ს. ი. ოცხელმა, გ. ი. გველესიანმა, ლ. პ. კოკოჩაშვილმა, დ. ბ. კვერკველიამ, ს. პ ფირალოვმა, ს. ნ. ლორთქიფანიძემ, ფ. ბ. გაბუნიამ, თ. ი. მელიქიშვილმა, ვ. ი. ჭილაძემ, ი. გომართელმა, დ. ნ. ჩიკვაიძემ, მ. ე. ლოლიძემ, ვ. ბეჟანეიშვილმა, ს. ლ. ბახტაძემ, გ. ლ. ქორქაშვილმა და ი. მ ჩიქოვანმა; 6) 5 მანეთი გადმოგვცეს სათითაოდ: ს. გ. კალანდარაშვილმა, ი. სუხაშვილმა, ვ. ზ. ჩაჩიბაიამ, ა. ს. გელაზაროვმა, ი. ნ. ნიჟარაძემ, ზ. კ. მაჭავარიანმა, ს. ა. ამირეჯიბმა, ნ. კ. ჩიკვაიძემ, ვ. ნ. აბულაძემ, გ. ს. ბარათაშვილმა, ნ. მ. ჯანელიძემ, ს. ნარაკიამ, მ. გ. ფალავამ, ა. ი. კოსტავამ, ა. გორგაძემ, ვ. ა. ჭოლოშვილმა, გ. დ. ნასარიძემ, დ. ნ. აბდუშელიშვილმა, №№-მა, ა. მ. კრინიცკიმ, ი. პ. ჯაიანმა, მ. მ. მღვდლიშვილმა, კ. რ. გოცირიძემ, ა. პ. ქურციკიძემ, დ. მ ბახტაძემ, ბ. გ. გაბუნიამ, გ. ს. თუთბერიძემ, მ. ნ. ქუთათელაძემ, თ. ა. მთავრიშვილმა, დ. ნ. ავალიანმა, ი. კვიცარიძემ, ი. ი. ნიკოლაიშვილმა, ნ. ვ. მესხმა, რ. ი. კანდელაკმა, თ. ი. ხუსკივაძემ და ვლ. კ. ალშიბაიამ; 7) 3 მანეთი გადმოგვცეს სათითაოდ: მ. ე. დარახველიძემ, №№-მა, გ. პ. ნიკიტინმა, ვ. ი. დოდაშვილმა, ნ. ბერიძემ და ს. ა. ქვარიანმა; 8) თითო მანეთი გადმოგვცეს: ს. დათეშიძემ, ალ. გარსევანიშვილმა, მღ. ი. აბესაძემ, ბ. ი. ვოლსკიმ, ს. რობაქიძემ, მ. ჩინჩალაძემ და ს. ხუნდაძემ; სულ შესდგა 900 მანეთი.

შენიშვნა: ამ სიაში არ შედიან ის პირნი, ვინც მოაწერეს ხელი, მაგრამ ან ვერ შემოიტანეს დღემდე ვერაფერი, ან შემოიტანეს მხოლოდ ნაწილი.

კომიტეტის თავმჯდომარე ა. საყვარელიძე; წევრნი: სერ. დ. ბახტაძე, ვ. დ. ქორქაშვილი, თედ. ხუსკივაძე, რაჟ. კანდელაკი და ს. ქვარიანი.

### სვანეთში ორის კვირით *).

ს. უღვალის წმ. გიორგის საყდრის ხელნაწერთა შორის ჩვენ ვნახეთ ფრიად საყურადღებო მინაწერებიანი რიგის სამარადისო სახარება (აპრაკოსი), დაძველებული და მეტად დაზიანებული, ასე XIII საუკ. ნაწერი. აჰა მინაწერები: № 12. «აქა დასრულდეს სახარებანი ყოველთა დღეთანი. აწ კვალად შაბათ კვირიაკეთა იწყების. უკეთუ ვინ გამოეძიებდეს მიზეზსა, არცადა დარჩომილარს ოთხთავსა შინა არცა ერთი სახარებაჲ (ე. ი. საკითხავი), რომელი ანუ ამათ სამარადისოთა სახარებათა შინა არა გამოკრებულ არს, ანუ შაბათ-კვირაკეთა (შ კეთა), ანუ მარხვათა, ანუ თთუეთა».

შემდეგ: № 129. «ლოცვა ყავთ გლახაკისა გისთჳს (გიორგისთვის), რომელმან წ~ჲ ესე სახარებაჲ ვთარგმნე». № 130. «ესე სახარებანი იკითხვიან პირველსა შვიდეულსა მარხვათასა მწუხრსა ზედა არა დაპატიჟებით, არამედ უკეთუ ვისმე შაჰვით სწადოდის. ხოლო ესე საცნაურ იყავ, რამეთუ ბერძულისაგან დაგჳწერიან». № 131. «წმიდანო, ესე ვნებასა კვირიაკისა საცისკრონი სახარებანი ბერძულად არიან და ბერძულისაგან დაგჳწერიან. სხუაჲ კულა განგებაჲ არა გვჳპოვნია, არცა დაგჳწერია. თქუენ კულა ვითა აღმშენებოდით, ეგრეცა ქმენით: თუ გინდა სადაგად ღირს ყოფად... და სმენად ჩვენდა ბრძანეთ... დიდ-ხუთშაბათის სახარება შემკობილი ყოველთა თავთაგან»...[1])

№ 132 «დიდსა პარასკევსა სახარებანი ჟამთანი დიდსა სვინაქსარისა სახარებანი სხუებრ სწერიან დიდისა პარასკევისა ჟამთა ზედა და იგიცა კეთილ არს და შუენიერ, გარნა ჩვენ გლახაკნი ესე ვინაჲთგან კათოლიკე ეკლესიისა სამკაულსა ამას სახარებასა შევკადრენით და წყალობამან ღუთისამან აქამდე მოგუაწინა, არა ჯერ ვიჩინეთ სრულიად

*) იხ. «ივერია», № 268.

[1]) იხ. Опис. рукопис. церк. музея, Жорданія, № 745.

# ფელეტონი

## სადღეისოდ.

სომხურის გაზეთის პატანის უცნაური სურვილი.—არც ჩვენ გვაკლია ასეთივე უცნაური სურვილი, მხოლოდ ვერ ვაცხადებთ.—შორეული, თუ ახლობელი?-ცნობის ფურცლელი W და ახლობლის დავიწყება.—რას ნიშნავს აზიური და სომხური ცეკვა?—ქალაქი და მისი ახალი თავი.—ჩვენი დიდება ჩვენვე შევმუსრეთ

მკითხველო, თუ არ გიკვირს, რომ სომხები ჩვენს დედა ქალაქში სომხურს გაზეთს ბეჭდვენ, ნურც ის გაგიკვირდება, ლონდონშიაც იბეჭდებოდეს მათებური გაზეთი.

ღვთის წყალობაა, თუ ღვთის რისხვა, დღეს ჩვენი მოძმენი, ის უნდა თქვა, სად არ ცხოვრებენ, თორემ ლონდონისთანა დიდს ქალაქს ისე როგორ გაუშვებდენ, რომ არ სწვევოდენ. ეწვივნენ და მოღვაწეობაც გააჩაღეს გაზეთის გამოცემით.

ლონდონის სომხურს გაზეთს პატანი (ჭაბუკი) ჰქვია. თვალ-ტანად მომცროა, ხოლო გონებით საბრალო და ბალღური. ასე მოწმობს სომხურივე გაზეთი მშაკ (№ 240) და რა ხელი გვაქვს, არ დავუჯეროთ.

პატანი დიდ ნაკლად უთვლის სომხობას, მადლობის გამოცხადება არ იციანო. არა, მადლობას კი გრძნობენ, მაგრამ ენით ვერ გამოუთქვამთო. რა იქნებოდა ჩვენებური შნორჰაკალემ (მადლობელი ვარ) ისეთი გრძელი არ ყოფილიყო და, როგორც ფრანგებს აქვსთ, მოკლედ გამოსათქმელი მერსი (გმადლობთ) ჩვენც ისეთი სიტყვა გვქონოდა. მოდი ვიხმაროთ შნორჰ (მადლი) სიტყვაო.

პატანის სურვილი უცნაურია, მაგრამ უფრო დიდს უცნაურობას არ გამოიჩენდა, სომხური ანბანის ზოგიერთი ხმა ათვალწუნებინა, აქაო და ევროპულ ენებში არ მოიპოვებაო?

სომხურს ენას, ისე როგორც ქართულს, აქვს ისეთი ხმები, რომელიც უდრის ქართულ ძ-ილს, წ-ილს, ჭ-არს, ჯ-ანს და ჩვენს ენას ხომ ზედმეტად ყ-არიც მოეპოვება.

ამ უცნაურის ხმების ათვალწუნებისაგან პატანი ჯერ ღმერთმა იხსნა, თუმცა შესაძლოა, სომეხთა შორისაც, ისე როგორც ჩვენშიაც, მოიპოვებოდენ სამშობლო ხმების უარ-მყოფელნი. მაგალითად, აქაო და ევროპულ ენებში არ არისო, ყ-არი ჩვენშიაც ათვალწუნებული აქვთ კეთილხმოვანების ზოგიერთ ვითომდა მოტრფიალე ვაჟბატონებს, მაგრამ იმდენი გულისხმიერება ჯერ კიდევ შერჩენიათ, რომ ბეჭდვით ვერ ბედვენ გამოცხადებას.

ფინებს რუსული არ მოსწონთ, შჩ-იანი სიტყვა ბევრი აქვსო და მაგალითად მოჰყავსთ სამოზაშჩიშჩაიუშჩაიასია ჟენშჩინა, მაგრამ ერთი რუსებსაც ჰკითხონ. რუსებს ქართული ენა ძნელ სასწავლად მიაჩნიათ და მაგალითად მოჰყავსთ ბაყაყი წყალში ყიყინებს. ჩვენში კი ვიგინდარას ხმას უფრო დიდი გასავალი აქვს და ამიტომ ხანდახან ჰოჰმანსაც მოვყვებით, ვაი თუ მართლა არ ვარგოდეს ზოგიერთი ჩვენებური ანბანის ხმებიო და გვავიწყდება, რომ ჩვენებური ყ-არი ისეთივე მოსაწონი უნდა იყოს ჩვენთვის, როგორც რუსებისთვის შჩა, რომელიც, თუ შედარებაზე მიდგა საქმე, ვერცა ჰსჯობს ყ-არს.

პირადი ნიჭის ძალი ზოგიერთი საქმის დაწყებასა და აღორძინებაში დიდი რამ არის, მაგრამ ენის გაჩენაში, მის ხმათა თავისებურ შეწყობილებაში არაფერია, რადგან ენა, როგორც მეტყველება, გარემო ბუნების ნაყოფია.

***

მაგრამ ხმათა ანუ სახელთ ერთობა ყოველთვის როდი ნიშნავს საგანთ ერთობას.

როცა ისტორიის და გეოგრაფიის ცოდნა გაგრძელდა საქართველოში, ისიც შეიტყეს, რომ ისპანიას იბერია ერქვა. გაუოცდათ, საქართველოს სახელი იბერია ასე შორს სად წასულაო, და მაშინვე დააჭეშმარიტეს, ერთი და იგივე სახელი ორ სხვა და-სხვა ქვეყანას არ ერქმეოდა, ერთი და იგივე მოძმე ხალხი არ ჰყოლოდა, იქაც და აქაც მცხოვრებიო. ისე გაიტაცა ახალმა აზრმა მოწინავე საზოგადოება, რომ ერთმა მეფემ ქართლისამ კიდეც მისწერა ძმობის წერილი ესპანიის მეფეს. ამისი არ იყოს, ცნობის ფურცლის თანამშრომელი W—ეც შორს წასულა, სწორედ იქ, სადაც მის წინაპარებს ქართველთა მოძმე ხალხი ეგულებოდათ, და გვირჩევს (იხ. ცნ. ფ. ნომრის 12) აი ესპანური ენა შეისწავლეთ და იქიდან თარგმნეთ რომანები... ესპანიის კეთილშობილთ ცხოვრება მეტად ჩამოგავს ჩვენებურ თავად-აზნაურთ ცხოვრებასაო. კარგი და პატიოსანი! მაგრამ იმ ხალხთა რომანები კი ვთარგმნეთ, ვისიც ენა გვისწავლია? ჩვენმა ნასწავლ კაცობამ, რა თქმა უნდა, რუსული ენა, უცხო ენათა შორის, უკეთ იცის, მაგრამ ეჭვი მაქვს, დამისახელოს ესპანურის მოტრფე W—მ, სულ უბრალოს გარდა, რუსული საკლასიკო რომანები ქართულად თარგმნილი. რუსულს მოჰყვება ფრანგული, გერმანული, ინგლისური, რომელიც უსწავლია აგრეთვე ჩვენებურ ნასწავლ—კაცობას, მაგრამ აქაც ვეჭობ, დამისახელოს, სულ მცირეოდენს გარდა, რომელიმე საკლასიკო რომანი პირდაპირ იმ ენებიდან ნათარგმნი. თუ არის თარგმანი, უთუოდ რუსულიდან იქნება. ევროპის არა თუ რომანი, ჟურნალ-გაზეთობაცა და მეცნიერებაც ჯერ რუსეთის გზით შემოდის საქართველოში. აი რამდენიმე შემთხვევა მისი, რომ ჩვენებურ ნასწავლ-კაცობას ჯერ ის უცხო ენაც კი ვერ გამოუყენებია სამშობლო მწერლობის გასამდიდრებლად, რაც უსწავლია და ჩვენ კი გვინდა ახალი ენა ვასწავლოთ კიდევ. ასეა, თუ ისე ჩვენებური ნასწავლ-კაცობა დღეს მეტადრე ორიგინალიდან თარგმნას ნაკლებად მიჰსდევს და უფრო კი ეტანება ავტორობას ქართულად, რომელსაც, საუბედუროდ, ხშირად ვერ მოჰრევია.

მეორემხრითაც არ დამიჯდა ჭკუაში W-ეს წინადადება. თითქოს რაღაც საპედაგოგიო საფუძველიც აკლდეს, რადგან ახლო, ცხვირ წინ მყოფი მიუტოვებია და შორეულს გამოსდგომია. სომხობა, რომელიც მართლა რომ ჩვენი მოძმეა, ჩვენსავით შავბედიანი, ჟამთა ვითარებისაგან ჩვენ მიწაწყალზე ერთ წილად გადმოხვეწილი, რომელსაც, ჩვენსავით ჩინებული მწერლობა და კულტურა შეუქმნია ნამყოში და აწმყოშიაც მოსწრაფეა, უბედურ ბედს თავი დააღწიოს და ზოგჯერ, თვისდა საუბედუროდაც, ძვირად, ხელ წამოკვრით გვახსენოს,—დღეს მხოლოდ სალინგვისტიკო, საისტორიო და საარხეოლოგიო კვლევის საგნად გაგვიხდია და სრულებით აღარ გვახსოვს, რომ იგი დღესაც საზოგადოებრივად მცხოვრებია და თავისი ცხოვრების გამოსათქმელად საკმაოდ განვითარებული მწერლობა აქვს. გერმანიასთან ომამდე საფრანგეთი იმდენად გალაღებული იყო გონებრივ, საზოგადოებრივ, თუ ქალაქობრივ განვითარებით, რომ სხვა ქვეყნის, მეტადრე გერმანიის, შესწავლის საჭიროება ფიქრადაც არ მოსდიოდა, მაგრამ რაკი დამარცხების გემო იწვნია და შეიტყო, რომ გერმანიას გაამარჯვებინა ნამდვილმა მამულიშვილობამ, რომლის მოძღვრად და მესვეურად საერო სკოლის მასწავლებელი გამხდარიყო, კარგად იკადრა გერმანულის შესწავლა და ეხლა გერმანულს, რამდენად მანამდე, ე. ი. დამარცხებამდე ერიდებოდენ, იმდენად ეტანებიან მისი შვილები. ჩვენ კი საფრანგეთის ყოფაში არა ვართ, მაღლით დაკყურებდეთ სომხობას და დამარცხებას თუ ბრძანებთ, უფრო დამარცხებული გახლავართ; რა კერძოობაც არ უნდა აიღოთ ჩვენის ცხოვრებისა, სომეხი თავს გვაზის. მაშ, შეგნება რომ იყოს, ჩვენ უფრო გვმართებს და გვჭირია სომხურის შესწავლა. იმ დღიდგან, როგორც დაიბადება ქართველი ლიტერატორი სომხური ენის საფუძვლიანად მცოდნე და ქართველ და სომეხთ გონებრივ აღებ-მიცემობის ბეჯითი მოღვაწე, ქართველობა მეტის პატივით შეიმოსება სომხის თვალში და თვითონ სომხის მწერლებიც მეტის რიდით ჩამოაგდებენ ჩვენზე სიტყვასა. უნდა ვთქვათ, რომ, თუ რამ უგულისხმოება სუფევს ამ ორ მოძმე ერის საზოგადოებრივ მოღვაწეთა შორის, ისიც მოისპობა. რად არ უნდა ამშვენებდეს ქართულ ჟურნალ-გაზეთობას სომხური ჟურნალ-გაზეთობიდან ნარკვევი, ქართულს სამკითხველო-წიგნთ-საცავებს და სცენას სომხური საუკეთესო რომანები და პიესები. სომხებთან მეგობრობისათვის ლაპარაკი ნუ თუ მაშინ უფრო ბინიანი არ იქმნება? თორემ ეხლა რასა ჰგავს? სომეხთ მეგობრობა მოგვენატრებია და ის კი დაგვიწყებია, რომ ერთმანერთის გაგების ყოვლად საჭირო იარაღი ჯერ ენაა.

***

სომხის, ისე როგორც ქართველთ მოღვაწეებს, უმთავრესი ყურადღება მიქცეული აქვთ სახალხო თეატრზე. ხან და ხან მშაკის ნომერი თითქმის ერთიან სათეატრო ხელოვნების საქმეს ბჭობს და არჩევს, მოწინავე წერილით მოყოლებული უკანასკნელ კორესპონდენციამდე,

მეოხნარებასა მიცემად უდებთა ამათ თავთა ჩუენთა. ამისთჳსცა ესერა კლდეთა და წმიდისა მამისა ეფთჳმის სანატრელისა სახარებისაგან ესე წმიდანი დავნუსხენით, ვითარცა ღმერთმან ძალი მოგუცა. აწ უკეთუ ვინმე სწერდეთ წ̃ა ამას სახარებასა, ნუცა თ̃ქნ უდებ იქმნებით ამათ წ̃თა დიდისა ჯარისკევისა ჟამთა ზედა განწესებულ სახარებათა დაწერად. და თუ არა, ბ̃ნ შეგჳნდვეთ ალოცვა უკვე. ღმერთმან გარწმუნოს, დიდად უძლური ვწერდით ამას და სნეულნი და თქუენ ღ̃ნ მადლი მისი უხუებით მოგუმადლენ».

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სვანეთში იმავე თავით იხმარებოდა უძველესი თარგმანი სახარებისა და მეათე საუკუნიდგან ნელნელა გავრცელდა ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანიც. გიორგი მთაწმიდელის თარგმანს—რედაქციას ნაკლებად ვხედავთ აქ.

ამავე საყდარში წმ. გიორგის ვერცხლის ხატზედ აწერია ხუცური ასო მთავრულით: № 133. «ქ. წმიდაო გიორგი ხუამლისაო, მეოხ და მფარველ მექმენ წინაშე ღუთისა მამკობსა ხატისა შენისასა ქედიდაძესა ნოეს და შვილთა ჩუენთა». ხუამლის მთის ქვაბებში არის კლდეში გამოკვეთილი წმ. გიორგი საყდარი [2]). ეს ხატი გადატანილი უნდა იყოს ლეჩხუმიდგან.

ცხომარის საზოგადოებაში ექვსი პატარა სოფელია—სუფი, გაბალთი, ლეზგარი, ტვიბერი, მადანდერი და ლაფსხალი. აქაც მცხოვრებ სვანთა გვარები ქართულია; დადუარი, ბულდიარე, ჩავდიანი, არდგლიანი, გერგელიანი, სგლანი, ლევაშერი, შედდიანი და გუგესიანი. 1840—1859 წლებში აქ ყოფილა მღვდლად აქაური მკვიდრი სვანი ადამ ქარდავა; მთიულეთში სამსახურის დროს დუშეთში შეირთო ცოლი. ამ საზოგადოებაში განსვენებულ დ. ბაქრაძეს გადმოუღია შემდეგი წარწერები... [3]).

ა) სუფის მაცხოვრის საყდარში ღვთის მშობლის ოქრო ცურვილ ხატისა: № 134. «ქ. ყოვლად წმიდაო ღუთის მშობელო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი ევფემიაის მწირველი დემეტრე და დაივიწყე შეცოდებანი მისნი».

მაცხოვრის ვერცხლით შეჭედილის ხატის დაბლა არშიაზედ: № 135. „ქ. მთავარ ანგელოზნო მმ... გაბრიელ, ადაშენე მაშენებელი შენი ხევი ცხომარისა ამინ. ამისა მომჭედელსა მეხლს (?) შეუნდვენ ღმერთმა“.

ბ) ს. ლაფსხალში, მთავარ-ანგელოზის საყდრის პატარა ვერცხლის ხატზედ: № 136. «ქ. წმიდაო იოანე ნათლის მცემელო, შეიწირე მცირედი ესე მღობაი: ჩემ: ფულარისანისა: ცოლისა: მარიამისაგან და ჩემისა შვილისა ჩარგალისაგან და მეოხ გუექმენ.». დიდს მთავარ ანგელოზის ოქრო-ცურვილ ვერცხლის ხატის ქვემო არშიაზედ: № 137. «ქ. წმიდაო, თავარანგელოზო, მეოხ და მფარველ ექმენ დადიან გურიელს, სვანთ ერისთავს მანდატურთ უხუცესსა შამადავლეს, შეუნდვენ ღმერთმან. თანა მეცხედრესა მისსა დედოფალს ანას შ̃ნ ღ̃ნ».

შამადავლე მთავრობდა 1470—1474 წლებში, იგი მოხსენებულია ილორის დიდის ჯვარის წარწერაში, იყო ძე ლიპარიტ პირველისა. დასაფლავებულია ხობის მონასტერში [4]).

ჩვენ ვნახეთ დიდ მშვენიერი ლაფსხალის სახარება, რომლის აღწერას ჩვენ ცალკე ვაპირობთ სხვა ხელნაწერ სახარებებთან ერთად. აქვეა დაცული ძვირფასი ვერცხლის ჯვარი მინაქრიანი, მსგავსი ლატალის ჯვარისა.

აქ ლაფსხალში ასვენია წმ. ნინოს დროსვე გაკეთებული მცხეთის ჯვარი, სასწაულთა მოქმედი და საამო სუნნელოვანი; უწინ ეს ჯვარი ესვენა ს. ჯვარში, მდ. ენგურის პირზედ, ს. ჯვარი თ̃ დადეშკელიანთა ეკუთვნის და სამეგრელოს სამზღვარზედ მდებარეობს; სვანებს იდუმალ წაუღიათ იგი ჯვარი და ლაფსხალში დაუსვენებიათ, მამა-პაპათა სალოცავი მოიახლოვეს. მაგრამ იგი სალოცავი იყო ჩრდილო სამეგრელოსიც და ამიტომ მეგრელნი დღესაც ნატრობენ ამ ჯვარის როგორმე დაბრუნებასა. მცხეთის ჯვარის სახელზედ საყდრები ბევრგან იყო საქართველოში: მცხეთის გაღმა, შიომღვიმეში, ტფილისში, ს. ერედვში და სხვ.

ფარის საზოგადოებაში რვა სოფელია: თავლარი, ჯუხლანი, ერქვანი, ლაჭხრაში, წადერი, კიჩხლიდა, ზემოლახამური და ქვემოლახამური. აქაც მცხოვრებ სვანთა გვარები წმინდა ქართულია: რეზიძე, მიშქლიანი, ჭკადუა, კვანჭიანი, დავითიანი, კობალიანი, მიშკლიანი, უბლიანი, დუდღელანი, ჩხვიმიანი, გვარგლიანი, წინდელანი, ოთხოვანი, ანიანი, ქანდავა და სხვ. აქ ხატი და ჯვარი ვერა უნახავს რა განსვენებულ ბაქრაძეს. არის შესანიშნავი X საუკ. ხელნაწერი სახარება, მასზედ შემდეგ გვექნება საუბარი.

მღ. პ. კარბელაშვილი

(დასასრული იქნება)

[2]) გვიამბო ცაგერის ბლაღოჩინმა მღვ. ა. გერსამიამ.

[3]) იხ. Сванетія, Бакрадзе, 70 გვ.

[4]) იხ. იქვე 73 გვ.

# რუსეთი

**კ. არსენევის მიერ გამართული კრება.** ჩვენის გაზეთის გუშინდელ ნომერში აწერილი გვქონდა ტენიშევის სასწავლებლის დარბაზში კ. არსენიევის მიერ გამართული კრება ბეჭდვითი სიტყვის შესახებ არსებულ კანონების გადასინჯვის საჭიროების თაობაზედ. ამის გამო მომხდარ ამბავზე გაზეთები დაწვრილებით კიდევ შემდეგსა სწერენ: კრების თავმჯდომარეს შეატყობინეს, რომ პოლიციასა და იმ საზოგადოებას, რომელიც დარბაზში უადგილობისა გამო ვერ შემოვიდა და ქუჩაში დარჩა, უსიამოვნება მოსდითო. რადგან დარბაზში მყოფმა საზოგადოებამაც ხმაურობა ასტეხა, ამიტომ თავმჯდომარემ გადასწყვიტა, რომ კრების გაგრძელება შეუძლებელიაო და გამოაცხადა, კრება დახურულიაო. საზოგადოება აირია, ბევრს ისტერიკა დაემართა, ზოგიც დაშავდა. ქუჩაში ცხენოსანი და ქვეითა პოლიციის დიდი რაზმი იდგა. «ბირ. ვედ«-ში სწერია: სასწავლებლის წინ ქუჩაში აუწერელი ამბავი ხდებოდა. ქუჩაში რამდენიმე ათასი კაცი ირეოდა. ყველას დარბაზში შესვლა უნდოდა. დარბაზის კარები კი დაკეტილი იყო. შესავალს პოლიცია იცავდა. გრადონაჩალნიკის თანაშემწე ხალხს არწმუნებდა, რომ დარბაზში ალაგი არ არისო, მაგრამ ვერც ამან უშველა. მალე თვით გრადონაჩალნიკიც მოვიდა და საზოგადოებას დაჰპირდა, თუ დარბაზში ალაგი იქნება, შეგიშვებთო. ქუჩაში გამოვიდნენ კრების თავმჯდომარე და დეპუტაცია ბ̃ ხალხს ამშვიდებდნენ. მაგრამ ვერაფერი გააწყეს. ამის შემდეგ საზოგადოება პოლიციის მეოხებით დაიშალა. არეულობის დროს ბევრნი დაშავდნენ. მათ შორის პოლიციელებიც.

გაზეთ «ნაშა ჟიზნ»-ის თანამშრომელი სწერს: ღამის 9 საათზედ ტენიშევის სასწავლებელთან მივედი და გავკვირდი: ქუჩაში, სასწავლებლის წინ რამდენიმე ათასი კაცი ირეოდა. ხალხი თხოულობდა, კრება მოსპეთ და უფრო დიდ დარბაზში გამართეთ, რადგან ლექციების მოსმენა ჩვენც გვინდაო. საზოგადოება ყინვაში, უეჭველია, დილამდის არ დარჩებოდა და, ცოტა ხნის შემდეგ, რასაკვირველია, თვითონვე დაიშლებოდა, მაგრამ საქმე სხვანაირად წავიდა. უცებ საზოგადოებას ცხენოსან პოლიციის რაზმი მიაწყდა. ხალხი აირია. რაზმმა ხალხის წრე გაარღვია. შუა. ქუჩაში და შავებულნი ეყარნენ. ხალხი დაშავებულთ ეცა, მათი შველა უნდოდა, მაგრამ რაზმი ისევ უკან გამოქანდა... ასე განმეორდა სამჯერ თუ ოთხჯერ. (რ. ვ.)

—

**თ-დის გ. ლვოვის მოღვაწეობა.** ერობა რუსეთისა დიდს საქმეს აკეთებს შორეულ აღმოსავლეთში თვისის სანიტარებითა და ქსენონებითა. ბევრი უღვაწნია იქ ერობის წარმომადგენელს თ-დს გ. ე. ლვოვს. ლვოვი სათავეში ედგა იქ მთელს საქმეს, რომელიც ყოვლად რთული და ვრცელი საქმეა, რადგან ყველა ერობის ქსენონებს მოწესრიგება და გაძღოლა ეჭირვებოდა. ლვოვის მეცადინეობათაო, სწერენ შორეულ აღმოსავლეთიდან — ერობის წარმომადგენელთა ღვაწლმა დიდი პატივცემა დაიმსახურა. თუ ერობის რაზმნი გულ-დამშვიდებით და ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ, მაგის მიზეზი იყო პირადი ღირსება თ-დის ლვოვისა, როგორც კაცისა და საზოგადო მოღვაწისა. ლვოვის ღირსებაა: მტკიცე რწმენა, გარკვეულის ფერით შეფერადებული, მხურვალე იმედი, რომ საზოგადებრივი დაწყობილება თავს იჩენდა მხნეობითა და ნაყოფიერებით, სპარტანული მარტივი ცხოვრება, უპრეტენზიო და მცირეზედ კმაყოფილი, ზე-აღმტაცი ზრდილობა და სათნოებით სავსე ქცევა, დიდი ტაქტი და დიდის გამრჯელობის უნარი. აი ის თვისებანი, რომელთა წყალობითაც დაიმსახურა ამ კაცმა აქ ყველას პატივისცემა. იმედი გვაქვს, რომ იმ უკეთეს გარემოებაში, რომელიც მოსალოდნელია ახლა რუსეთის ცხოვრებისათვის, თ-დი ლვოვი უფრო ღირსეულად მოიხმარს თავის ნიჭს, აქ გამოჩენილსაო.

—

**გამომცემლობის უფლება.** წინად კანონი ასეთი იყო, რომ თუ ჟურნალი ან გაზეთი გადაეცემოდა სხვას, წინანდელსა და ახალს გამომცემელს თავის დროზედ უნდა ეუწყებინათ ბეჭდვის საქმეთა მთავარ-სამმართველოსათვის ეს ამბავი. შემდეგ-კი ეს კანონი შეიცვალა და ახალი გამომცემელი უნდა დაამტკიცოს შინაგან საქმეთა მინისტრმა. გოლცევი ამბობს გაზ. «რუს. ვედ.»-ში, რომ ახალი წესი ძრიელ აბრკოლებს საქმეს, რადგან გაზეთი ან ჟურნალი ქონებაა და მისი არ გადაცემა მემკვიდრისათვის, თუ ვინიცობაა სიკვდილი ეწია გამომცემელს, დაჰლუპავს გაზეთს და გამომცემლის მემკვიდრეებს წაართვეს თავიანთ კანონიერ კუთვნილებასაო.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ვ. მ. ზემსკი გაზ. «ხოზიაინ»-ში ამტკიცებს, რომ ყოვლად საჭიროა, რაც შეიძლება მალე იქმნას შემოღებული ერობა იქ, სადაც ჯერ არ არის შემოღებულიო.

ცხოვრება ათას გვარ საბუთს გვაძლევს, რომ მეტად სამძიმოა ცხოვრება იქ, სადაც ერობა არ არის. რამდენი ხანია, რაც მწერლობაც და ინტელიგენციაც ამტკიცებს ერობის შემოღების აუცილებელს საჭიროებას. რამდენი სამინისტრო გამოიცვალა, რამდენნაირმა სიომ დაჰბერა, რამდენი პროექტი შესდგა ადგილობრივ ცხოვრების მოსაწესრიგებლად, ხოლო ერთად-ერთი საუკეთესო გადაწყვეტა საქმისა-კი რაც იყო, იმას მუდამ გვერდს აუვლიდნენ ხოლმე. ახლა სხვანაირი დრო დადგა. ახლა ყველას ენაზე ერობის შემოღების საჭიროება აკერია მთლად რუსეთში. გვეტყვიან, ეგ რთული საქმეა, დიდს მოსამზადებელს მუშაობს თხოულობსო. მერე რაო? რაცა იქმნება, ხომ უნდა ვიტვირთოთ ეგ მუშაობა?! ან არა და, პირველი ნაბიჯი მაინც უნდა გადავდგათ, რაიცა არაფრით არ არის საძნელო. უნდა გადავსწყვიტოთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ დაუყოვნებლივ საჭიროა შემოღება თვითმმართველობისა ყოველის პროვინციისა და განაპირ-ქვეყნისათვის მთლად რუსეთში. ეს გადაწყვეტილება საყოველთაოდ უნდა გამოცხადდეს და მით დაკმაყოფილდეს ბუნებრივი მოუთმენლობა ყველა იმ ქვეყანისა, რომელიც ამ სიკეთეს დღემდე მოკლებული იყო. ვინაც უნდა გამოცხადდეს ერობის შემოღებისა და თვით მკვიდრთაც უნდა შეეძლოთ ჰქონდეთ მონაწილეობას იღებდნენ მაგ საქმის განხორციელების მოსამზადებლად და მოსაწესრიგებლად. სამწუხაროდ ამ საქმის განხორციელებას ის თუ დააბრკოლებს, რომ ამ ჟამად განზრახულია ძირითადი შეცვლა მთლად საზოგადოებრივის წეს-წყობილებისა და რომ დღევანდელი ერობა ისეთი მზა-მზარეული და ყოვლად სასურველი ნიმუში არ არის ახალ გუბერნიებში უცვლელად შემოღებისათვის. ეს მართალია, მაგრამ რაც უნდა ფრთა შეკვეცილი იყოს ერობა დღეს, მაინც გაცილებით სჯობია იმ დაწესებულებას, რომელიც ერობის მაგიერობასა სწევს დღეს.

### „ივერიის ფოსტა“

—

**სიღნაღი.** «აღდგომა» იბეჭდება და საშობაოდ მოგივათ.

* * *

ჩვენს დედა-ქალაქს, რომელიც ამდენს ხანს უთაოდ იყო დარჩენილი, ხელად თავი გამოება, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, სომხისა. ვითომ რაო? თუ ქალაქს ტანი ქართვლისა აქვს, რად არ შეიძლება თავი სომხის, რუსის, ან თათრის გამოებას? ბუნებაშიაც ხომ იპოება ერთნაირი წყალმიწიერი ოთხფეხი ცხოველი, რომელიც ფეხ-ფარდიანი და თავნისკარტიანია. მაგრამ განსხვავებაც არის. როცა ერთი ხალხის ნიადაგზე მეორე ხალხი ფეხს იკიდებს და კიდეც იმარჯვებს, პოლიტიკურად იქნება, თუ ეკონომიურად, მაშინ გამარჯვებული ხალხი ცდილობს არა თუ დაიცვას თავისი ვინაობა, არამედ გაავრცელოს კიდეც, ე. ი. სხვათა ვინაობა ამსხვერპლოს, ანაცვალოს თავისას. ამ რიგად ბ-ნი ვერმიშევი დღეს, ჩვენი ქალაქის თავად არჩეული და დამტკიცებული, წარმომადგენელია იმ ხმოსანთ ჯგუფისა, რომელიც, ეკონომიურად გამარჯვებული, სხვათა ზედა ბატონობის იდეალებს ემსახურება და ილია ჭავჭავაძის «სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადის პასუხით, როგორც მათი მათეთრებელი, ხომ მხარსაც უმშვენებს პატკანოვს, ეზოვს, ჯანშიევს და სხვებს, რომელნიც კალმითაც კი არ ერიდებოდენ საქართველოს საზარალოდ სომხეთის დიდებას.

მოქალაქის წერილი, ამას წინათ ივერიაში დაბეჭდილი, ასახელებდა ხმოსანთ მეორე ჯგუფსაც, რომელსაც ქალაქის თავის კანდიდატად ბ-ნი ბაბოვი ჰყოლია, კაცი, რომელიც თურმე ჯერ კაცს ეძებდა და მერე მის ვინაობას. ასეთი აზრის, უეჭველია, იქნებოდენ მისი დამასახელებელნიც თუ ბოლომდე არა, იმ წუთს მაინც, როცა ასახელებდენ. ვერმიშევის კანდიდატურის წამომყენებელ ხმოსანთ უმეტესობის საქციელს ბევრი განათლებული ქართველი ამართლებს და ამბობს, რა საკვირველია, სომეხმა სომეხი აირჩიოს, როცა ქართველი ასევე იქცევა, სადაც ვისმე ირჩევს, როგორც უმეტესობა, აი თუნდ თავად-აზნაურობის წინამძღოლთ არჩევნების დროსო. მართალი ბრძანებაა და მოსატანია ასეთი საბუთი იმ შემთხვევაში, როცა პარიზში ფრანგი ფრანგს ირჩევს და ლონდონში ინგლისელი ინგლისელსა. მაგრამ როცა გერმანელი ჩეხიაში, შემთხვევის მოსარგებლე, ირჩევს ყოველთვის გერმანელს და მით მკვიდრთა მიმართ განწყობილებას ერთი ორად ამწვავებს, როგორღაც თავს ვერ მოდის. რაც იმას ჰმართებს ბერლინში, ის არ ჰმართებს ჩეხიაში, არც სხვაგან ავსტრიის საბრძანებელში, სადაც სლავიანთ უმეტესობას გერმანელთა უმცირესობა იმორჩილებს სხვა და სხვა ნახელავის ღონისძიებით და გზას არ აძლევს ცხოვრებაში, არა თუ საკეისროს საზოგადო საქმეს გაუძღვეს, როგორც მმართველი, არამედ თავისი ადგილობრივი ცხოვრება გაიუმჯობესოს ისე, როგორც მისი საერო სარგებლობა მოითხოვს. სომეხი ქალაქში დღეს, ისე, როგორც გერმანელი ჩეხიაში, შემთხვევით მოსული და გაბატონებულია. ქართველების მეტიც რომ არ ვინ ცხოვრებდეს საქართველოს დედა ქალაქში, მაშინაც კი ერობრივ განკერძოების მისწრაფება, რომელსაც ემსახურებიან ქალაქელი სომხის შოვინისტ-ზგარესები, უმართებულო იქნებოდა. თორემ ეხლა ხომ ტფილისი პოლიტიკურად რუსეთის ქალაქია და ეკონომიურად მობატონე სომეხთ გარდა, აგრეთვე ქართველებს გარდა ცხოვრობს კიდევ დიდძალი რუსობა, პოლიტიკურად მობატონე ხალხის წარმომადგენელი, რომელსაც არა ნაკლებ ეინტერესება ქალაქის ბედი. მაშასადამე, ქალაქისთვის უპრიანი იყო, თუ მაინცა და მაინც სომხის თაობა არ ასცილდებოდა, ხმოსანთ მეორე ჯგუფის კანდიდატი ბ-ნი ბაბოვი აერჩიათ. ყველას გული ერთნაირად მისკენ იქნებოდა, რაკი მათი ინტერესების მზრუნველი ჯერ ადამიანი იქნებოდა. მთავრობის განკარგულება, რომლითაც ბ-ნი ვერმიშევი დამტკიცდა ქალაქის თავად, მეტი რა არის, თუ არ სულ გრძელების დიდი აქტი, აცა ეგებ ბოლოსაც არის ჩახვდენო.

ჩვენი ქალაქი დღეს განიცდის თავის სხვა და სხვა ტომის მცხოვრებთ მშვიდობიან ქალაქობრივ ბრძოლას ბატონობის შესარჩენად, თუ მოსაპოებლად, მაგრამ ჩვენს ქვეყანას განუცდია პირდაპირ ძმათა ხოცვის ბრძოლაც, როდესაც სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დანაწილებულ საქართველოს თემებსა, მატიანის თქმით, ტყვევნა, რბევა და მოოხრება ჰქონდათ. ასეთი ძმათა მოსისხრობა მოთხრობილია 1646 წლის ერთ წარწერაში, რომელიც აქვს წმინდა მიქელ გაბრიელის ხატსა სოფლის ფხოტრელის საყდარში სვანეთს. უმთავრესი გმირი ამ სავალალო ამბისა, რომელიც ერთიანად გადმოიღო მამა პოლიევქტო კარბელაშვილმა და ნოემბრის 23 ივერიით აუწყა ქართველობას, არის ოდიშის მთავარი ლევან დადიანი. ეს ლევან, რომელიც წარწერაში თავის თავს ხელმწიფეს უწოდებს, მიხდომია იმერეთის მეფეს ალექსანდრეს და მის ძმას მამუკას, რომელნიც ლაჩრად არ დახვედრიან მოსისხარ ძმას და ციხედ გადაუქცევიათ სახლები და წმ. სოფიოს ტაძარი. ბაგრატის თუ? ლევან დადიანს არა თუ მრავალი უშოვია და გამარჯვებული წამოსულა, არამედ ზარბაზნებით სამეფო ქვის პალატნიც დაუნგრევია, როგორც ძველი, ისე თვით ალექსანდრე მეფის აშენებული ახალი ქვის პალატი და მრავალი ხალხიც ამოუწყვეტია. ბოლოს ლევან დადიანი ამბობს, ასრე შევარცხვინეთ და, ოდეს იმერეთიდან გამარჯვებული მოვედით, ეს ხატიც მაშინ შევაჭედინეთო. დიაღ, მაგრამ იქ სულის საცხონებლად და აქ ცოდვის მოსანანიებლად სწორედ ისე, როგორც ევროპაში შუა საუკუნეებში ძმათა ხოცვის შემდეგ სამადლობელ «ტე დეუმს» უგალობდენ ღმერთსა, ამის შემდეგ რა საბუთი გვაქვს, საქართველოს ხალხის ამოწყვეტა და მის საკულტურო ძეგლთა შემუსვრა სულ შემოსეულ უცხო თესლტომის მტერს დავაბრალოთ და ჩვენი თავი უმანკო კრავად დავსახოთ? არა, მე მგონია, ჩვენი დიდება ჩვენვე შევმუსრეთ შურითა და ხდომით და ყოველი სახლი დიადი ვავანადგურეთ ცეცხლითა.

გვჭირია ნამდვილი ისტორიკოსი, რომელმაც ჩვენი ცხოვრების ავიცა და კარგიც მიზეზთა კვლევით დაგვიხატოს. სულხან ბარათაშვილის ნიჭი იმდენად ძლიერი იყო, რომ თითქმის უმასალობის დროსაც კი შეიძლო დაეწერა ისეთი ისტორია, რომელსაც ცალი არ ეპოვება და ეხლა კი, როცა იმდენი მასალა შეგროვდა, საისტორიო ნიჭი აღარ ჩანს, თუმცა ჩვენი ძველი ხატებისა და ჯვრების ზოგიერთ მზომელს ისტორიკოსის სახელწოდებაც კი მიუღია თანამოკალმე ამხანაგისაგან.

ზემოხსენებული წარწერა ფორმითაც საინტერესოა. წარმოადგენს ჩვენებური სამხედრო მოქმედების მატიანის იშვიათ ნიმუშსა, რომლითაც, სხვათა შორის, ისიც მტკიცდება, რომ ოქრომჭედლობასაც საქართველოში ქართველი ხელოსნები ჰყოლია, როგორც მხატვრობას და ხუროთ მოძღვრებას.

კლდია.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

## დილის დეპეშები.

25 ნოემბერი.

**ყაზანი**, 25 ნოემბ. სასამართლოს წინ დიდი ამბავია. ხალხს მხოლოდ ბილეთებით უშვებენ სასამართლოში. შეიარაღებულმა დარაჯებმა შემოიყვანეს ბრალდებულნი. ყურადღებას აქცევენ უფრო ჩაიკინს, 28 წლისას, რომელიც თავისუფლად იქცევა, ხშირად იღიმება. იმის გვერდზედ სდგას მაქსიმოვი, ოქრომჭედელი, მერე კომოვი, მონასტრის დარაჯი ზაქაროვი, პრასკოვია კუჩეროვისა და შილინგი, დედა კუჩეროვისა. მოწმეთა რიცხვი 69. ყველა ბრალდებულნი მართლ-მადიდებელნი არიან. დანაშაულობაზედ თავი არავინ დასდო. ჩაიკინმა აჩვენა, რომ რაც ძვირფასი ნივთები მიპოვეს, სულ მაქსიმოვისაგან ვიყიდე 750 მანეთადაო. 15 წლიწადია, რაც დედ-მამის სახლი მივატოვეო. ჩემი დედ-მამა ღარიბი ხალხია. მამა არ დაეძებდა და არ ზრუნავდა ჩემის აღზრდისათვის. მარიუპოლში ვიყავ, დამის თავშესაფარში მოვყევი, ვჯიბგირობდი. ერთ ხანად ასი თუმანი მქონდა, დავიწყე ვაჭრობა, მერე ყაზანში გადაველი და ვყიდულობდი ნაპარევსა. კომოვმა აჩვენა, რომ ვჯიბგირობდი და ბანქოსა ვთამაშობდიო. ჩამოართვეს ჩვენება მოლოზნებსაცა. დედათა მონასტერს ერთი დარაჯი ჰყოლია მხოლოდ ზალაროვი, თვეში 3 მანეთად. ეს დარაჯი ქურდებს სარდაფში ჩაუმწყვდევიათ, გამოირკვა, რომ ძვირფასი სამკაული ღვთის-მშობლის ხატისა არ არის დაკარგული.

**მუკდენი**, 25 ნოემბერი (საკ. კორესპ.) როგორც ხმაა ისმის, ნაწილი ტერიტორიალურის მხედრობისა მოწოდებულია დაიცვას გზა ხიროშიმა-ასაკა. ამ მხედრობიდანვე შეავსეს საპოლიციო რაზმები ფორმოზის კუნძულზედ. სათადარიგო ბრიგადები 1 და 11, პორტ-არტურის გარშემო მდგომნი, სუნლიპუსკენ იქმნენ გადაყვანილნი.

**კრონშტადტი**, 25 ნოემბ. უფროს კომანდირის სახლში მეორე რანგის კაპიტანმა კლადომ მოხსენება წაიკითხა მესამე ესკადრის შესადგენად დიდ-ოკეანეში

## საღამოს დეპეშები

26 ნოემბერი.

**მუკდენი**. 25 ნოემბ. (ბერლინიდგან მიღებული). არაფრით არა სჩანს, რომ იაპონელთ განზრახვა ჰქონდეთ საერთო სატევი ომი დაიწყონ.

**ტოკიო**. 25 ნოემბ. (რეიტერი). უმთავრესი შტაბი იუწყება, რომ გუშინდელს ყუმბარების დაშენას პორტ-არტურზე ძლიერ კარგი შედეგი მოჰყვაო. იაპონელნი დიდის ყალიბის ზარბაზნებს უშენდნენ ციხეს.

**ტოკიო**, 25 ნოემბ. (ბერლინიდგან მიღებული). იაპონელთ ჯერ კიდევ არ აუღიათ პორტ-არტურის ჩრდილოეთის ფორტები. აქაურნი სამხედრო საქმეთა მცოდნენი არ მოელიან ციხის დამხობას თებერვლის გასვლამდე.

**პარიჟი**, 25 ნოემბ. (ბერლინიდგან მიღებული). გაზ. «ეხო დე პარი»-ს რედაქციამ ხელის მოწერა გაჰმართა პორტ-არტურის დამცველთა სასარგებლოდ. დღემდე შეიკრიბა 50,000 ფრანკი.

**პარიჟი**, 25 ნოემბ. (ჰავასი). დეპუტატი სივეტონი გარდაიცვალა მით, რომ გაზმა (მძიმე ჰაერია) სული შეუგუბა.

**ბელგრადი**, 25 ნოემბ. (საკ. კორ.). გუშინ შესდგა სამინისტრო და მინისტრთა სია მეფემაც მოიწონა. ბოლოს ლაპარაკი ჩამოვარდა სკუპშჩინი დათხოვნაზედ. რადიკალებმა ამას დასტური დასცეს. რადიკალებს დამოუკიდებელნიც შეუერთდნენ. ამის გამო გრუიჩმა უარი განმცხადა სამინისტროს შედგენაზედ. მეფემ სამინისტროს შედგენა პაშიჩს მიანდო. მაგრამ ჯე‘ არაფერი გაუკეთებია.

**ჩიფუ**, 26 ნოემბ. (რეიტერი). ნიუჩუანიდგან მოსულ მცურავ კანდელის კაპიტანი იუწყება,—პორტ-არტურის წინ იაპონიის ოთხი ჯავშნიანი გემი, სამი კრეისერი და ათი კონტრ-ნაღმოსანი დავინახეო. აქედგან კაპიტანს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ მთლად იაპონიის ესკადრა პორტ-არტურთანაა თავმეყრილი.

**ვაშინგტონი**, 25 ნოემბ. (რეიტერი). იაპონიამ განაცხადა.—მივიღებ მონაწილეობას ჰააგის სამშვიდობო კონფერენციაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონფერენციის დადგენილებანი შორეულ-აღმოსავლეთის ომს არ შეეხებაო. პასუხი გადასცა სტატს-სეკრეტარს გეის იაპონიის საქმეთა რწმუნებულმა ხიოკიმ.

**პეტერბურგი**. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა; მავნე მიმართულებისათვის გამო გაზ. «სინ ოტეჩესტვა»-ს გამოეცხადოს მეორე გაფრთხილება.

**პეტერბურგი**. სახაროვი დეპეშით ატყობინებს მთავარ-შტაბს 24-ისა 25 ნოემბერს თარიღით, რომ ბრძოლათა შესახებ მოხსენებანი ამ ორ დღეში არა მიგვიღიარა.

**ყაზანი**, 26 ნოემბერი. საღამოზე განგრძობა იყო სისამართლოს სხდომისა. მოწმე სახელოსნო სასწავლებლის ზედამხედველი ვოლმანი ამბობს, რომ მაქსიმოვმა შემოგვიკვეთა გაზის გაკეთება, ეს საქვთოდ მივიჩნიეთ და პოლიცმეისტერს შევატყობინეთო. გამოირკვა, რომ მხოლოდ იმ შექვეთილისთანა გაზით შეიძლებოდა გატეხა ტაძრის კარებისა, მაქსიმოვი უარ-ჰყოფს, მე არ მიმიღია მონაწილეობა ქურდობა-გაცარცვაშიო. პირველად თუ სხვანაირად ვაჩვენე, ეგ იმიტომ რომ იძულებული ვიყავი, პოლიცია მცემდა და მეც ისე ვაჩვენეო. ჩაიკინმა სთქვა, ხატები დავჩეხე, ხოლო შილინგის ქალმა დასწვაო. ჩაიკინი არხეინად ლაპარაკობდა და ცდილობდა ყველა უბრალოდ გამოიყვანოს მაქსიმოვს გარდა. მაქსიმოვმა იცოდა, რომ ორი პასპორტი მქონდა, და მთხოვა მეყიდნა მისგან ნაპარევი ძვირფასი ნივთები. მეც ვყიდულობდი და ვასაღებდიო. გაზი მე არ შემიკვეთნია. თუ რასმე ვყიდულობდი, არავის არას ვაგებინებდი, მეტადრე დედაკაცებს, რადგან მეშინოდა გახმინებისა. ნაყიდ ნივთებს ვმალავდი საიდუმლო ყუთში და სტოლის ფეხებში. ეს სტოლი თან დამქონდა როცა ერთი ქალაქიდან მეორეში გადავდიოდი. ქალაქ სამარაში საუკეთესო ნომრები მეჭირა. პასპორტს კარგად მოგვარებული ბეჭედი ვერ ჰქონდა. პოლიციამ შეპყრობა მომინდომა, მაგრამ გადაურჩი. ფანჯარიდან არ გადავმხტარვარ. წვიმის წყლის მილს ჩავყე პოლიციასთან მორიგებით და ისე გავიქეცი. პოლიციას ათი თუმანი მივეცი. მარიუპოლში კომოვი ვნახე. იმის საქმე გლახად იყო. ყაზანში წამოდი მეთქი. კომოვმა სთქვა, ყაზანში რომ მივედი, ჯიბგირობა დავიწყეო. რაკი ვრცელი ჩვენება უნდა მიეცა პოლიცმეისტერს პანფილოვს, სხდომა 11½ საათზედ შესწყდა.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**

გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

19 ნოემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,70 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,30 |
| ლონდონში ჩეკები | 94,45 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | — |
| ბირჟის დისკონტი | 91⅝ ნ. გაყ. |
| 4% სახელმწიფო რენტა | — |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | — |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 427½ ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 320 წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 271 წ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 8Հ¼ წ. გაყ. |

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

ამ წლის 15 ოკდომრიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბაქოს**: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 21 წ. (6 ს. 19. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბათუმს**: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.). 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

**ერევანსა და ყარსს**: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ბორჯომს**: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან**: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); საქ. და სამგზ. № 17 საღამოს 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

**ბათუმიდან**: საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.): სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

**ერევან-ყარსიდან**: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდან**: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

### ბ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ**: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.)

### გ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

### დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).


# განცხადებანი

## დაკლებულის ფასებით

ვიღებთ შესაკერავად ქალებისა და ბავშვების კაბებს და თეთრეულს, აგრედვე მივიღებთ შეგირდებს ჭრა-კერვისა და ხელსაქმის ყოველის მხრით კარგად შესასწავლად. ალექსეევის ქუჩა, № 17, სახლი მანდენაშვილისა.

(2—1) დანი გაპანაძენი.

## ავტორთა საყურადღებოდ

ამ წლის ივნისის 7-ს ქ. ტფილისში დაარსდა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა «სხივი», რომელსაც საგნად აქვს ჰბეჭდოს ქართული სახალხო და სასწავლო წიგნები მეცნიერების ყველა დარგისა და სიტყვიერებისა.

ამხანაგობა დაიწყებს თავის მოქმედებას მომავალ 1905 წლის თებერვლიდან.

ამხანაგობის დამფუძნებელმა წევრებმა ამოირჩიეს დროებითი სარედაქციო კომისია, რომელსაც დაავალეს მოამზადოს შესაფერი მასალა გამოსაცემად.

ამხანაგობას ჯერ-ჯერობით აზრად აქვს გამოსცეს შემდეგის დარგის ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებანი: საქმიო, სამეურნეო, ისტორიული და პოლიტიკურ-ეკონომიური.

ხსენებული დროებითი რედაქცია სთხოვს ბ-ნთ ავტორებს, მოაწოდონ თავიანთი თხზულებანი განსაშინჯად და გამოსაცემად.

რედაქცია სთხოვს ავტორებს ნაწარმოებთან ერთად აცნობოს მას წერილით: რა პირობებით სურთ დაუთმონ ამხანაგობას თავიანთი თხზულებანი.

ნაწარმოების გამოგზავნა შეიძლება შემდეგის ადრესით: ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილს (ქ. ტფილისი, იზმაილოვის ქ. № 44.), ანუ ალექსანდრე გრიგოლის ძეს სოლოლაშვილს. (ქ. ტფილისი, გოლოვინის პროსპ. № 12).

სარედაქციო კომისიის წევრნი: ალ. სარაჯიშვილი, ხ. დღოტი, ს. გორგაძე, ალ. სოლოლაშვილი.

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილის 5 მოქმედ დრამა-ლეგენდა

# ლალატი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წიგნი დაეთმობა ორ აბაზად,

აგრეთვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

# ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

# ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1905 г.

на ежедневную (не исключая и послѣпраздничныхъ дней) дешевую, литературную, иллюстрированую и общественной жизни (по расширенной программѣ, въ увеличнномъ размѣрѣ, вполнѣ могущую замѣнить дорогія газеты) газету

# „КАВКАЗСКІЙ ЛИСТОКЪ“

## ГОДЪ III

## ПОДПИСАЯ ЦѢНА:

**За 340 годовыхъ номеровъ (форматъ газеты 13½×9½ вершковъ)**

| | На годъ. | На полгода. | На мѣсяцъ. |
|---|---|---|---|
| Въ Тифлисѣ | 2 р. 50 к. | 1 р. 60 к. | 35 к. |
| Съ пересылкой | 3 р. 75 к. | 2 р. — к. | 40 к. |
| Заграницу | 8 р. — к. | 5 р. — к. | 1 р. — к. |

Для служащихъ: закавказскихъ ж. д., военныхъ частей, сельскихъ общественныхъ канцелярій (черезъ управленіе, командировъ и уѣздныхъ начальниковъ) съ пересылкой на годъ 3 р. 20 к. Отдѣльные номера въ Тифлисѣ по 2 коп., а въ другихъ городахъ и на станціяхъ желѣз. дор. по 3 коп.

Новые подписчики 1905 года., желающіе получать теперь-же газету—доплачиваютъ до 1-го января въ Тифлисѣ 20 коп., а инородніе 30 коп., за каждый мѣсяцъ.

Редакція, вступая въ третій годъ изданія своей газеты и идя навстрѣчу читателямъ, особенно серьезное вниманіе обратитъ на кавказкую и общероссійскую хронику, на свѣдѣнія русско-японской войны, а также на художественный отдѣлъ, помѣщая всевозможные рисунки изъ войны и общественной жизни.

Торговому классу, какъ мѣстному, такъ и россійскому, будетъ даватъ свѣдѣнія о прибывшихъ грузахъ, наложенныхъ платежахъ и о грузахъ, неплоучившихъ получателями и пр. необходимыя свѣдѣнія.

Такса на объявленія: траурныя отъ 1 р. до. 2 руб., обыкновенныя на 1-й страницѣ 4 коп., на остальныхъ—по 3 коп. за строку петита. Квартирныя и трудовыя—по 20 коп. за каждое объявленіе.

Пріемъ подписки и объявленій: въ Тифлисѣ—въ редакціи, уголъ Ртищевской и Сололакской, домъ Бебутовыхъ, № 22; въ типографіи газеты «Кавказскій Листокъ», Вельяминовская, № 7; въ „Бюро труда“—Эриванская площадь, противъ сквера, караванъ-сарай Тамамшевыхъ. Иногородніе адресуютъ въ Тифлисъ на имя редакціи. Газета имѣетъ собстенную, совершенно новую типографію, которая принимаетъ частные и казенные заказы по цѣнамъ внѣ конкуренціи.

Редакторъ-издатель *Н. И. Тамамшевъ*.

(3—შ—1).

ვისაც უნდა დაიკვეთოს 1905 წ.

# კალენდარი (სათვე)

## „ცოდნა“

**მიჰმართონ სოსიკო მერკვილაძეს.**

◆ კალენდარი ჰღირს ორ შაურად ◆

ვინც ერბაშად ასს ცალზე მეტს იყიდის, კალენდარი დაეთმობა

**ექვს-ექვს კაპეიკად.**

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი, № 12.

ფოსტით: მისამართი Тифлисъ Книжный магазинъ „ЦОДНА“.

(10—10).

# სამკერვალო

## ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობ ქალთა ტანისამოსს

# შ ე ს ა კ ე რ ა დ

**ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად**

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა და სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

**ანა მერკვილაძისა.**

# ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა | 20 „ |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა | 10 „ |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა | 10 „ |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი | 7 „ |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(40—40). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.